მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წერილი გაუგზავნა ხოსროს (სპარსეთის ხელმწიფე), კეისარს, ნეჯაშს (ეთიოპიის ხელმწიფე) და სხვა ხელმწიფეებს, მათ მოუხმობდა უზენაესი ალლაჰისკენ

გადმოცემულია ანასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წერილი გაუგზავნა ხოსროს (სპარსეთის ხელმწიფე), კეისარს, ნეჯაშს (ეთიოპიის ხელმწიფე) და სხვა ხელმწიფეებს, მათ მოუხმობდა უზენაესი ალლაჰისკენ, მაგრამ ეს ნეჯაში არ იყო ის, ვისზეც მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჯანაზა (სამგლოვიარო ლოცვა) აღავლინა.
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ანას იბნ მაალიქმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვაუწყა, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაცვალებამდე მის გარშემო მყოფი ერების მეფეებს წერილები მისწერა, სადაც ისლამისკენ მოუწოდებდა მათ. მან მისწერა ხოსროს — ეს ტიტულია ყოველი ისეთის, ვინც სპარსელებზე მბრძანებლობდა; კეისარს — ეს ტიტულია ყოველი ისეთის, ვინც რომაელებზე მეფობდა; და ნეჯაშის — ეს ტიტულია აბისინიის (ეთიოპიის) მეფეთა. ასევე სხვა მეფეებსაც მიწერა, რომლებიც იყვნენ გაბატონებული და ჩაგრავდნენ თავიანთ ხალხს, ანასი განმარტავს, რომ ნაჯაში რომელსაც მიწერა, ეს ის ნაჯაში არ იყო, რომელიც გარდაიცვალა და მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მისი განსასვენებელი ლოცვა დაუსწრებლად ილოცა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65789